ზოგი განათლების განყ. მუშაკები **(ლიბულადი, ყარაიაზი, წალენჯიხა, ხსოროწყუ, ჭიათურა)** რაიონის ცენტრში სხედან და იშვიათად თუ შეიხედავენ სკოლებში. განგ. გახ ყოფილებათა უმრავლესობა სკოლებთან ცოცხალი კავშირის დასაჭერად არ არიან უზრუნველყოფილი სატრანსპორტო საშუალებებით.

ახალი სასწავლო წლისთვის მზადების საქმეში მთელ რიგ რაიონებში **კომკავშირულ, კოოპერატიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციების მონაწილეობა სუსტია.** რაიონული პროფსაბჭოები ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას მხოლოდ განყოფილების მოვალეობად თვლიან და თვითონ კი თითქმის არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ. საჭიროა ამ მდგომარეობის დაუყონებლივ გამოსწორება.

ახალი სასწავლო წლისათვის საზაფხულში მთელმა რიგმა რაიონებმა მხედველობიდან გამოუშვეს მზადებისათვის საუკეთესო პერიოდი (აპრილი, მაისი).

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ორი თვე დარჩა. ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს უნდა ახსოვდეთ, რომ „მომდინარე წლის აგვისტოს 25-თამდე დამთავრებულ უნდა იქნას მთელი მოსამზადებელი მუშაობა ახალი სასწავლო წლისათვის“ (საჭ. კაკის და სახკომ. საბჭოს დადგენილებიდან).

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ფოთის რაიონის ინიციატივის საფუძველზე განსახკომის მიერ გამოცხადებული განათ. განყოფილებათა რესპუბლიკური კონკურსი. არც ერთი განათლების განყოფილება კონკურსში მონაწილეობის გარეშე. ფოთის რაიონის ინიციატივას უნდა გამოეხმაუროს საქართველოს სხვა რაიონებიც.

შ. ჯიქია.

საქ. საბჭოთა მწერლ ბის კავშირის გამგეობის პლენუმი

საბჭოთა პოეზიის შემოქმედებითი საკითხები

(ამხ. შ. რადიანის მოხსენება)

საბჭოთა მწერლობის განვითარებაში, — დაიწყო მომხსენებელმა, — პოეზია ჩამორჩენილია. სოციალისტური მშენებლობის გრანდიოზულობა მკაფიოდ არ არის ასახული პოეზიაში, ამ მხრივ პროზა უფრო დაწინაურებულია. პროზაიკოსები უფრო ბშირად ჭკიდებენ ხოლმე სოციალისტური მშენებლობის ასახვის საქმეს და არის მრავალი, ზოგჯერ არც თუ უნაყოფო, ცდა დიდი მხატერული ტილოების შექმნისა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პოეზიაში სოციალისტური მშენებლობის ასახვა რამე განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდეს, ან ეს შეუძლებელი იყოს. რა თქმა უნდა, აქ შეუძლებელი არაფერია, მაგრამ საჭიროა თვითონ პოეტების სურვილი და მონდომება.

კლასობრივ მტერს შემოაქვს პოეზიაში ნაციონალიზმი, ბოჰემური მიდრეკილებები, პესიმიზმი და სხვ. ზოგჯერ მტერი აშკარად ჩანს, მის ლექსებში თავალსათლივ გამოსჭვივის ნაციონალიზმი და შოვინიზმი ზოგჯერ კი მტერი ეფარება ნიღაბს. კლასობრივ მტერს საბჭოთა პოეზიაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ ისე უნდა დავაყენოთ საქმე, რომ საბჭოთა პოეზიაში არ გაეჭაჭანოთ კლასობრივად უცხო მიმართულებათა პოეტები.

პოეზიაშიც, ისე როგორც პროზაში, წამყვანი სტილია სოციალისტური რეალიზმი. ზოგიერთებს ჩვენში ეს არ სჯერათ, ან და შეუძლებლად მიაჩნიათ, რადგან პოეზია პირობითობაა, — ამბობენ ისინი, მაგრამ ამ შეხედულების წარმომადგენლებს ავიწყდებათ, რომ სოციალისტური თვალსაზრისით ხოლმე ყველა მწერალს, პოეტს, რადგან ჯერ ისევ ბოლომდე არ არის. სოციალისტური რეალიზმი ნიშნავს იმას, რომ მწერალმა — ბელეტრისტმა ან პოეტმა — სწერონ სამართლე, სწერონ სინამდვილის არა შემთხვევითი, არამედ არსებითი ხასიათის საკითხებზე.

შემდეგ მომხსენებელი გადავიდა ჩვენი პოეტების შემოქმედებითი მუშაობის განხილვაზე. პირველ რიგში იგი შეჩერდა ყოფილ „ცისფერ ყანწელებზე“ (პ. იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ლეონიძე და სხვ.), რომლებიც საბოლოოდ ჯერ ისევ ვერ განთავისუფლებულან სიმბოლისტური სკოლის რეციდივებისაგან. კიდებელის აზრით, ეს რეციდივები ყველაზე მეტად ემჩნევა ვ. გაფრინდაშვილის და ტ. ტაბიძის შემოქმედებას.

შემდეგ მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ ჩვენს პოეტს კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება მთლიანი შემოქმედებითი გარდაქმნისათვის.

თავის მოხსენების ბოლოს ამხ. რადიანმა დაახასიათა პოეტების შემოქმედებითი მუშაობის უკანასკნელი პერიოდი და ვაჩვენა, რა ცვლილებები მოხდა პოეზიის ფრონტზე საქართველოში საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის 1932 წ. 23 აპრილის ისტორიული დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ. მან ილაპარაკა გ. ტაბიძის, ალ. მისაშვილის, პ. ჩიქოვანის, კ. ჭიჭინაძის, ა. აბაშელის, კ. ლორთქიფანიძის, ი. აბაშიძის, გ. კაკაბაძის, გოშაშვილის, სან. ეულის, ა. ბაშაშვილის, ფ. ნაროყვილის და სხვ. შესახებ: მომხსენებელმა ამასთანავე აღნიშნა, რომ ზოგიერთ პოეტს, როგორც: ჯ. აბაშელს, ჰ. ჩიქოვანის, ი. აბაშიძის, თითქმის ახლა უკანასკნელ ხანებში დაეწყო ლირიკა და თითქოს ეპოვნა ადგილი დაუთმო ემოციონალურ პოეზიას. ეს შემცდარი შეხედულებაა. ლირიკა სჭირდება ლირიკული ლექსის წინააღმდეგი პოეზია არის, მაგრამ ჩვენ გვინდა პოციალისტური ლირიკა. პოეზიას ეკონალება ავკარგიანად წერა მეორეხარისხოვან საკითხებზე, მაგალითად პოეზიაში გადაჭრით უარყოფთ, მაგრამ საჭიროა არა მირონახარისხოვან საკითხებზე წერა, თუნდაც ლირიკული ლექსებისა, არამედ საჭიროა მთავარ საკითხებზე, სოციალისტური შენებლობის ცენტრალურ პრობლემებზე წერა.

დასასრულ მომხსენებელი კვლავ დაუბრუნდა სოციალისტური რეალიზმის საკითხის განმარტებას და აღნიშნა, რომ სოციალისტური რეალიზმი ყველაზე უწინ ნიშნავს სისადავეს. პოეტი-შემომქმედი დიდი იმდენად, რამდენადაც იგი ლრმა სისადავეს იჩენს ლექსებში, რამდენადაც გასაგებ დალმაზ ფორმებში ალაბნებს თავისი შემოქმედების პრობლემას (ფ. ენგელსი) — ლექს.

ქამათში ამხ. რადიანის მოხსენების გარშემო

პლენუმის მესამე სხდომაზეც გაიხსნა ქამათი ამხ. რადიანის მოხსენების გარშემო. ქამათში გამოსული ზოგიერთი ორატორი შეჩერდა მხატვრული ლიტერატურის კრიტიკის სისუსტეზე და აღნიშნა, რომ ჩვენში კრიტიკა ჯერ შედარებით უფროა სუსტია, ვიდრე პროზა ან პოეზია. ძლიერი კრიტიკა კი იქიცილებელია საერთოდ მწერლობის და კერძოდ თვითეული მწერლის შემოქმედებითი განვითარებისათვის. აღნიშნული იყო აგრეთვე, რომ სოციალისტური რეალიზმის რაობა ჯერ საბოლოოდ გარკვეული არ არის გაშუქებული.

ქამათში მონაწილეობა მიიღეს — ნ. მოწიწვილმა, ი. ვაკელმა, ირ. აბაშიძემ, პ. მოროტაძემ და ა. ჭუმბაძემ.

მეოთხე სხდომა

პლენუმის მეოთხე სხდომა შესდგა 19 ივნისს, დილით, ამხ. მ. ტოროშელიძის თავმჯდომარეობით. სხდომაზე გაგრძელდა იქმა ქამათი ამხ. შ. რადიანის მოხსენების გარშემო, საბჭოთა პოეზიის შემოქმედებითი ამოცანების შესახებ.

ქამათში გამოვიდენ — ხ. შანშიაშვილი, ს. ჩიქოვანი, კ. ჭიჭინაძე, ბ. ღლონტი, შ. დუდუჩავა, პაოლო იაშვილი და ტ. ტაბიძე. ორატორები ეხებოდნენ თემათა ფართო სპექტრს საბჭოთა პოეზიის სისუსტეებზე და ძალიან ცოტა ილაპარაკეს პოეზიის ძირითად ამოცანებზე. ორატორებმა ვერ შეძლეს ამ საკითხების ამოწურვა, ვინაიდან ეს საკითხები ძალიან ფართო და ღრმა ცნებებია, რომელთა ამოწურვა მხოლოდ ხანგრძლივი მუშაობის შედეგად არის შესაძლებელი.

დასასრულ მომხსენებელი კვლავ დაუბრუნდა სოციალისტური რეალიზმის საკითხის განმარტებას და აღნიშნა, რომ სოციალისტური რეალიზმი ყველაზე უწინ ნიშნავს სისადავეს. პოეტი-შემომქმედი დიდია იმდენად, რამდენადაც იგი ლრმა სისადავეს იჩენს ლექსებში, რამდენადაც გასაგებ დალმაზ ფორმებში აღწერს თავისი შემოქმედების პრობლემას (ფ. ენგელსი) — ლექს.

რიონჰესი დაეთავრდა, იწყება ხრამჰესის მშენებლობა

(ქუთაისი, ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

რიონჰესი საბჭოთა კავშირის მასშტაბით ერთერთი მძლავრი სადგური, რომელიც დადგმულია საბჭოთა ქარხნებში დამზადებული ტურბინები. რიონჰესის მთელი მოწყობილობის 80 პროცენტი საბჭოთა კავშირშია დამზადებული. რიონის მიდრო-ელექტრო სადგურს ოთხი ტურბინა აქვს და ოთხივე საბჭოთა წარმოებისაა, თვითეული 17.500 ცხ. ძალის სიმძლავრით.

რიონჰესი ერთერთ სადგურია საბჭოთა კავშირში, რომელიც ჭოლიანად საბჭოთა მძლავრი ტურბინებით არის მოწყობილი.

რიონჰესის აგება სერიოზული გამოცდა იყო არა მარტო ჩვენი ახალგაზრდა ტექნიკური კადრებისათვის, არამედ საბჭოთა კავშირის ელექტრომანქანამშენებელ ქარხნებისათვისაც. რიონჰესის ძირითადი მოწყობილობა დამზადებულია: ტურბინები — ლენინგრადის სტალინის სახელობის ლითონის ქარხანაში, გენერატორები — ლენინგრადის ქარხანა „ელექტროსილა“-ში, ტრანსფორმატორები — მოსკოვის ელექტრო-ქარხანაში, ზეთის ამომრთველები — ლენინგრადის „ელექტრო-აპარატში“, სადგურის დაცვის აპარატურა — ხარკოვის ელექტრომექანიკურ ქარხანაში.

რიონჰესი ამუშავდა 1933 წლის შემოდგომაზე. სადგურის რვა თვის მუშაობამ დაამტკიცა, რომ მისი ყველა მოწყობილობა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნიმუშია. ამ ხნის განმავლობაში სადგურის მთელი რიგი საბჭოთა ელექტრო-მოწყობილობა. ასეთია, მაგალითად, სალვნური ტრანსფორმატორები, რომლებზედაც რიონჰესის ამუშავების დღიდან არცერთი ავარია არ მომხდარა. ტრანსფორმატორების რვა თვის შეუფერხებელი მუშაობა თავის თავად ლაპარაკობს მათ ხარისხზე. ეს მით უფრო ბაზისხმოვნია, რომ ასეთი ტიპის და სიმძლავრის ტრანსფორმატორები პირველია საბჭოთა ტრანსფორმატორების მშენებლობის პრაქტიკაში.

ამავე დროს აღსანიშნავია სკოტის და ბრაუნის იტალიური ფირმის საიმპორტო ტრანსფორმატორების მეტად არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. ამ ტრანსფორმატორებში ხშირად ხდებოდა მოკლედ შერთვა, რაც იწვევდა მომხმარებლებისათვის დენის მიწოდების შეწყვეტას.

ავარიები აუცილებელი მოვლენა ყოფილი ახალი სადგურის მუშაობის პირველ პერიოდში. ავარიებს ადგილი ჰქონდა რიონჰესში. მაგალითად, ოქტომბერში მოხდა 1 ავარია, ნოემბერში — 8, დეკემბერში — 5, იანვარში — 9, თებერვალში — 4 ღრმა-გამოვებით ავარიები ხდებოდა შემდეგ თვეებშიც. იყო შემთხვევები, როდესაც ავარია გამოწვეული იყო სადგურის პერსონალის მიზეზით, მაგრამ უფრო ხშირად ავარიები შედეგი იყო ელექტრო-აპარატურის ცუდი მუშაობისა და არადამაკმაყოფილებელი მონტაჟის.

სადგურის საცდელი ექსპლოატაცია, რომელიც გახსნის წლის ოქტომბერში დაიწყო, სრულიად არანორმალურ პირობებში მიმდინარეობდა. სადგური გაშვებულ იქნა ექსპლოატაციაში ელექტრო-ენერგიის დიდი დეფიციტის გამო ამიერ-კავკასიაში და ამუშავების დასაჩქარებლად საჭირო შეიქნა მთელ რიგ სამუშაოების მიტოვება იმ-დროს საჭმეშენებლო, ისე ელექტრო ნაწილში. ასე, მაგალითად, სადგური მუშაობს დღემდე არ აქვს წყალსაცავი არსი შედმეტი წყლის გასაშვებად და სადღეღამისო რეგულირების აუზი. დაუმთავრებელი სამუშაოები ელექტრო-ქარხანაში საშიროებას არ აძლევდა სადგურის პერსონალს მანვენრირების შემთხვევაში დაეწყებინა ის ფაქტი, რომ ლენინგრადის ქარხანამ წელს სვირის მოწოდებისათვის გამოუშვა 27.500 ცხ. ძალის სიმძლავრის ტურბინა, ნაცვლად მოწყობის, თუ რა ბრწყინვალე შედეგებს მიაღწიეს ჩვენ საბჭოთა ტურბოს მშენებლობის საქმეში.

რიონჰესი — საბჭოთა ინდუსტრიის ერთ-ერთი პირველი ობიექტთაგანი, რომელზედაც ახალი ადგილობრივი ტექნიკური კადრები გაიწვრთნენ. ამ სადგურის ზოგიერთი მოწყობილობის, გამოსწორებულია. ქარხნის, რომლებმაც გამოუშვეს ეს მოწყობილობა, მეთაურთ მათი პროდუქციის დაბალ ხარისხზე. ევს გარეშეა, ისინი გაითვალისწინებენ რიონჰესის გაკვეთილებს და მომავალში უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციას მოგვაწოდებენ.

რიონჰესი დამთავრდა. 19 ივლისს საქართველოს პროლეტარიატი ჩაიბარებს ელექტროფიკაციის მეორე გიგანტს და მის წარმენელებს ახალ დავალებას მისცემს: რიონი დამორჩილებულია, ჯერი ახლა მდ. ხრამზეა. და ისევე, როგორც ზაზესა შიბა რიონჰესი, ეს უკანასკნელი შიბს ხრამჰესს, ის — ნამახვანჰეს, ნამახვანი ხვა სადგურს და ასე დაუსრულებლივ, სანამ საბჭოთა საქართველოს არ გადაჭიკეთო ელექტრის ქვეყნად და ძირბედნიერად არ ამოგვიდინოს წყვილი წარსულის უკანასკნელ ნაშთს.

შ. ბუაჩიძე.

ვ. ლუარსაბიძე

ბოლშევიკური იატაკქვეშეთის მწერალი

დღემდე არაგვქონდა ქართული პროლეტარული ისტორიული რომანი. დღემდე არა გვქონდა ბოლშევიკური იატაკქვეშეთის მხატვრული ასახვა და ძლიერი ამღერება. დღემდე არ იყო მხატვრულად დაძლეული პირველი რევოლუციისა და პოლიტიკური რეაქციის წლების მდიდარი მასალა. ამ სიცალიერის ამოვსება ძველი ბოლშევიკური გვარდიის წარმომადგენელმა, ბოლშევიკმა წერამა პავლე **მ. საყვარელიძემ** სცადა და გაადლიერა ინტერესი ისტორიული თემებისა და სიუჟეტებისადმი.

საყვარელიძის ბელეტრისტული ტომები: „დაფანტული ფურცლები“, „ეკლიან გზაზე“, „ქვა და რკინა“, „უკანასკნელი გადასარბენი“ და „ჩატეხილი ხიდი“ პირველი რევოლუციისა და პოლიტიკური რეაქციის წლების მთელი ეპოპეაა; მწერალმა პ. მ. საყვარელიძემ სწორად და საკმაოდ ოსტატურად გვიჩვენა საქართველოს სოციალური კლასები და პარტიები.

საყვარელიძემ მხატვრულად გვიჩვენა, რომ 1905 წლის რევოლუციამ გამოაშკარავა საუკუნებრივი ცრუმორწმუნეობანი, გამოაღვიძა პოლიტიკური ცხოვრებისა და პოლიტიკური ბრძოლისათვის მილიონიანი მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა. რევოლუცია დამარცხდა, მაგრამ ბოლშევიკური არალეგალური ორგანიზაციის ხელმძღვანელობით წარმოებდა ბრძოლა დროებით შეწყვეტილი რევოლუციური განვითარების აღორძინებისათვის.

საყვარელიძე ყოველივე ამას რეალისტურად იძლევა, ტიპიური ხასიათებს — ტიპიურ გარემოში სწორად გადმოგვცემს, მისი ხასიათები საკმაოდ ტიპიურია.

შეუნელებელი ყურადღებით კითხულობთ ამ ეპოპეას, გაცვიფრებთ პირველი რევოლუციური მოძრაობის ტალღებს მოზღვავებისა და უკუქცევის წლების მდიდარი მასალის სიუხვე.

აკვირდებით პ. მ. საყვარელიძის დიდი თხრობის ტილოებს და განცვიფრებთ მოვლენებისა და მდგომარეობათა ასეთი ოსტატობითა და ცოდნით მოცემა, მოქმედი პირების სიმრავლე, აქ ყველა კლასია მოცემული, აქ ყოველი კლასის წარმომადგენელია ამოქმედებული, კლასი კლასის წინააღმდეგია დაპირდაპირებული.

თემატიკურად და სიუჟეტურად ურთიერთ მორის მჭიდროდ დაკავშირებულია ეს რომანები ტიპიური მდგომარეობებისა და ტიპიური ხასიათების სარბიელია; ამ ხასიათების ამღერებას მწერალი თავს უყრის, აგროვებს საზოგადოების მთელს ისტორიას. ამაშია საყვარელიძის შემოქმედებითი სიძლიერე.

ორ ცენტრალურ ფიგურაზე, ორ ცენტრალურ ხასიათზე (ისიც გაკვრით) შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას, ესენი არიან: **ალექსი** და **სანდრო ჩალანდარი.** ორივე ერთ სამწის ემსახურება, მაგრამ ორივეს აქვს თავისი ინდივიდუალობა, რომელის ორივე პერსონაჟი გამოყვანილია, როგორც მუშათა კლასის პერსონიფიკაცია.

რომანის გმირი ალექსი ინტელიგენტია. ნაწილობრივ ჟიულენ სორელივით **ზოგჯერ** მელანქოლიკი; ალექსი გულწრფელი და მტკიცე მებრძოლია; მაგრამ მისი ინტელიგენტური სოციალ - ფსიქოლოგიური ბუნება ზოგჯერ სათანადო ბეჭედს ასვამს მის მოქმედებასა და ქცევას. ალექსი „გრძნობიერიცაა“, ზოგჯერ თავდავიწყებამდეც მიდის, მაგრამ იგი ბოლშევიკური პარტიისათვის თავდადებული მებრძოლია.

სულ სხვაა სანდრო ჩალანდარი. ის მუშათა საქმისათვის თავდადებულია და სოციალ - მეშჩანობის უდიდესი მტერია. ის თავისი მუშური ალღოთი ყოველთვის გრძნობს მენშევიკების მოღალატეობას და მკაფიოდ ეჯაქვეა კლასობრივ ბრძოლაში.

ცნობით მის თავგადასავალს, მის მედგარ ბრძოლას მეფის დამჭახებისა, მდიდრებისა და მენშევიკესერების წინააღმდეგ და გიხარიან, დიდით - დიდ როგორ იზრდება მედგარი მუშა – ბოლშევიკი, პროლეტარული სიმართლისათვის ფოლადივით მტკიცე მებრძოლი. ჯერ მარტო ის რადა ღირს მის მიერ ბალაროელთა კრებაზე ესერის გაბიაბრუება, მენშევიკების შეთაურის გაერთიანებულ კრებაზე ქანაგებული ბრალება, ვინ მოსთვლის მის ნამოქმედარს მდიდარსა და მრავალ ფეროვანს, მის მშობლიურ მზრუნველობას „ტექნიკაზე“ — და სხ. ეს მართლაც პირველი მუშა - ბოლშევიკია, რაც ასე ტიპიურად და ცოცხლად ქართულ ლიტერატურაში დღემდე არავის მოუცია. ეს ხასიათი ყველაზე უფრო საყურადღებოა საყვარელიძის შემოქმედებაში. ის როგორც ვერ თავსდება საყვარელიძის ხასიათების საერთო სისტემაში. საყვარელიძის გმირებს შორის „დამოუკიდებლად“ დგას ეს საყვარელი მუშა – ბოლშევიკი, ეს პარტიისათვის დაუდგრომელი მებრძოლი, არალეგალური ორგანიზაციის თავდადებული მუშაკი.

რომელი კლასის (და პარტიის). ან სოციალური ფენის წარმომადგენელს არ ეძებდებით საყვარელიძის რომანების ცოცხლში? მუშა-ბოლშევიკებს, გაბოლშევიკებულ მენშევიკს, ინტელიგენტ - ბოლშევიკებს, მენშევიკებს, რომლებმაც ორგანიზაცია „პოდრაბიჩიკებთან“ საშუალებო ჯანტორად გადაქცეს „მოანარქისტ მენშევიკებს“, მოძრაობის ყოფილ მონაწილეებს, ჯაშუშებს. მაქსიმალისტ-ავანტურისტებს, მოძრაობის თანამგრძნობებს, „ნეიტრალური“ ინტელიგენტების ტიპებს, დაჩანცულებსა და უიმედობის სულიერ განწყობილებაში მოქცეულთ, პოლიციური თვითმპყრობელობის, ბურჟუაზიის, მემამულეებისა და სამღვდელოების წარმომადგენლებს, ფენებად დაყოფილ გლეხობას, თავისი კლასიური კალაპოტიდან ამოვარდნილ ელემენტებს და სხ. ყველა ეს მოცემულია დამაჯერებელი სისწორით და მხატვრული სისავსით.

ყველაფერი ეს ისეა გაკეთებული, თითქოს წერეს კი არ კითხულობთ, არამედ მონაწილეობთ ამ სოციალურ ცხოვრებასა და ბრძოლებში, კლასთა ნამდვილი შეჯახების მოწმე ხდებით.

კითხულობთ ამ დიდ თხრობას, და გიტაცებთ რევოლუციისა და რეაქციის წლების მრავალსახოვანი სურათები, ერთ ეპოქას ცოცხლად ხედავთ, ეპოქის ატმოსფეროში ხართ ჩაფლული, ეპოქის ბრძოლის ტალღები გეხებათ, ეპოქის ბრძოლის ტალღები გეხებათ, ეპოქის ბრძოლის ტალღები გეხებათ

ამინდი საქართველოში

18 ივნისის დღის 18 საათიდან 19 ივნისის დილის საათამდე

დასავლეთ საქართველოში 18 ივნისს წვიმა თითქმის ყველა რაიონში, გარდა ფოთისა, სამტრედიისა და ჭიათურის რაიონებისა დ. ფიზიზეთისა. ნალექები ყველაზე მეტი რაოდენობა იყო ბათომში (39 მილიმეტრი), ქუთაისში ნალექები 14 მილიმეტრს აღწევდა, ხოლო დანარჩენ რაიონებში არ აღემატებოდა 6 მილიმეტრს, ღამით მოღრუბლულობამ იკლო და წვიმა შეწყდა.

აღმოსავლეთ საქართველოში ნალექები ცვალებადობა იყო, ზოგ ადგილას წვიმდა, ზოგან კი არა. დიდი ნალექები (30 მილიმეტრამდე) მოვიდა ახალციხეში, ასპინძაში, ბორჯომში, ახალციხის და ასპასთუმანის მიდამოებში, ყაზბეგის რაიონში და სტალინირში. ღამით წვიმა მოვიდა აგრეთვე გურჯაანის და ლაგოდეხის მიდამოებში. დანარჩენ რაიონებში ცვალებადი მოღრუბლულობა და მშრალი ამინდი იყო: სურამის, სტალინირის, დუშეთის, ტფილისის, ყარაიას და თიანეთის მიდამოებში წვიმდა დასავლეთის ძლიერი ქარი. ტემპერატურა ცვალებადი იყო — დღისით 6 გრადუსიდან (ყაზბეგი) 26 გრადუსამდე (ყარაია) და ღამით 3 გრადუსიდან (ყაზბეგი) 12 გრადუსამდე (ყარაია).

მოსალოდნელი ამინდი 20 ივნისისათვის: დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია უმეტესად სიმშრალე. მოსწენდება ამინდი, სუსტი ქარი და ტემპერატურის მცირე მატება.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალება მოღრუბლულობა, უმეტესად სიმშრალე, სუსტი ქარი და ტემპერატურის მომატება.

გიგლიოგრაფია

ეძ. ალ. მინდაძე. „აბარისტანის ზღვის კურორტები“ დოც. ი. ვ. კოლაშვილის წინასიტყვით. ტფილისი, 1933.

საქართველო კურორტების მხარეა. ყველა კურორტები, ჯერ-ჯერობით არაა მეცნიერულად შესწავლილი. ჯერ კიდევ მრავალ საგანგაშო ადგილის თვითონ მკურნალობითი თვისება, სავსებით გამოცნობილი არ არის.

სარეცენზიო ბროშურა ეძ. ალ. მინდაძისა, ამიტომ ჩვენ თანავრძნობით უნდა შეხედეთ ცდას ამ ნაკლის გამოსწორებისათვის. ამ მიზნის ემსახურება; ეს არ არის უბრალო მიმოხილვა; აქ გასაგებ ენით და ზუსტათ, ციფრობრივად გამოხატულია აბარისტანის ზღვის სანაპიროების კურორტთა პოტენციალი.

ავტორი აგიწერს სტუდენტთა ესკურსიას აბარისტანის კურორტებში, რაც ზოგიერთ საინტერესო წასაკითხავად ქცნის. ავტორს მოყვანილი აქვს ბათომში 30 წლის განმავლობაში ჩატარებული მეტეოროლოგიური დაკვირვება.

ამასთანავე წიგნში მოცემულია აბარისტანის მთის ნაწილის კლიმატური პირობების აღწერა, ფიტოთაის მეტეოროლოგიურ სადგურის დაკვირვება კლიმატური პირობები ავტორს კომპლექსურად აქვს მოცემული და განხილულია მისი სამკურნალო ეფექტი ადამიანზე.

აბარისტანის კურორტების ერთ ფარგოფით მხარეს მილიარია წარმოადგენს. ავტორის მიერ ეს საკითხი დასმულია, რასაც ჯერ-ჯერობით ყურადღება უნდა მიექცეს.

ეძ. ა. მინდაძის მოყვანს ჩვენებანი და წინააღმდეგ ჩვენებანი, აბარისტანის კურორტებზე ავადმყოფთა გაგზავნისათვის. წიგნს ამ დადებით მხარეს გარდა. ავტორს ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ჯერ ერთი ლიტერატურულ მაჩვენებელში დასახელებულია ვიშე ს. ორბილიძეის ნაშრომი, რომელიც გეორჩევს ეგზავნად საკურორტოდ ბრბოულად მალარიით შეპყრობილი ავადმყოფები და ეს მაშინ, როდესაც ჭობულეთი მალარიანი ადგილია.

შემდეგ, მცირე ცნობებს იძლევა წიგნი ბათომის ბოტანიკურ ბაღის შესახებ, რომელსაც საკავშირო მნიშვნელობა აქვს: ავტორი ან აღნიშნავს ნაზგასმით იმ უდაოდეს მნიშვნელობას, რომელიც აქვს ეფკალიტის ხის ფართოდ დანერგვას საქართველოს და, კერძოდ, აბარისტანის დაბლობ ზეობებად ადგილების გაჯანსაღებისათვის და, ცხადია, კურორტებზე მალარიის შესპობისათვის.

სარეცენზიო წიგნაკი ზედაოდ ამართლებს თავის დანიშნულებას.

ი. ბრ. კუნდულია.

საკოლმეურნეო ინსტიტუტი საქართველოში

მოსკოვისა და ხარკოვის სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერმა მუშაკებმა შეფობის სახით დიდ კოლმეურნეობებში ჩამოაყალიბეს საკოლმეურნეო ინსტიტუტები. ასეთივე სახის ინსტიტუტები ჩვენში — საქ. პროფსაბჭოს შეფობიორის ინიციატივით ჩამოყალიბდა სიღნაღში, ლანჩხუთის და სტალინისში, საკოლმ. ინსტ-ების მიზანია კოლმეურნე გლეხობას სამუშაოდან მოუწყვეტლად მისცეს ზოგადი განათლება როგორც პოლიტიკური განათლების ხაზით, ისე სპეც დისციპლინებიდან.

საკოლმეურნეო ინსტიტუტების მეცადინეობა დაიწყება ამ დღეებში. ლექციების კითხვა იწყრო დასასვენებელ და თავისუფალ დღეებში ორ-ორ და სამ-სამ საათს. ლექტორებად მიწვეული არიან სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქ.სოფლ.-სამეურნეო ინსტიტუტის, მესაქონლეობის ინსტიტუტის და სხვა სამეცნიერო დაწესებულებების მეცნიერული მუშაკები.

საკოლმეურნეო ინსტიტუტის პროგრამაში განზრახულია 31 ლექციის წაკითხვა. მთავარი ყურადღება მიექცევა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკითხებს, სიცოცხლის წარმოშობას და განვითარებას დედამიწაზე, მსოფლიოს და საბჭოთა კავშირის გეოგრაფიის შესწავლას, რელიგიის, შთამომენის და ჰიპნოზის საკითხებს და სხვ.

საკოლმეურნეო ინსტიტუტის ლექციების კურსის ამოწურვა გათვალისწინებულია ერთი წლის განმავლობაში.

წერთვისების უკეთესი ხარისხისთვის გამოყენებული იქნება: კირნო, საუბრის ცოცხალი ძეთოდები, ექსკურსიები, ლაბორატორიული ცდები და სხვა თვალსაჩინო საშუალებანი.

ლექციებთან ერთად მოეწყობა მხატვრული და მუსიკალური საღამოები.

გამოცდილების გაზიარების მიზნით დამყარებულია კავშირი მოსკოვისა და ხარკოვის საკოლმეურნეო ინსტიტუტებთან.

აქ კვეთდება შაბიამანი

სოფლის მეურნეობას სხვა დარგებთან ერთად ყოველწლიურად იზრდება და ფართოვდება ჩვენში მევენახეობა-მეღვინეობაც. კახეთი, იმერეთი და ქვემო რაჭა — ესენია საქართველოში მევენახეობის მთავარი რაიონები. ჩვენს მევენახეობას ყოველწლიურად 500 ტონამდე შაბიამანი სჭირდება. უშაბიამანოდ ვაზი ვერ ხეირობს, იგი ავადმყოფდება და აღარ იძლევა დიდ მოსავალს.

შაბიამანის საქარხნო წესით წარმოება საქართველოში არ იყო და იგი უკანასკნელ წლამდე შემოგვქონდა მოკავშირე რესპუბლიკებიდან (უმთავრესად უკრაინიდან და რუსეთიდან). მხოლოდ ამ ორიოდე წლის წინათ შეუდგა არტ. „ტფილჩოფი“ შაბიამანის მცირე რაოდენობით დამზადებას, მაგრამ მისი პროდუქცია ოდნავადაც ვერ აკმაყოფილებდა მოთხოვნილებას.

1933 წ. ივნისიდან სპილენძის სატკეცი ქარხნის დირექცია შეუდგა შაბიამანის საამქროს მოწყობას. იმავე წელს საამქრომ გამოუშვა და სოფლის მეურნეობას მიაწოდა 47 ტონა შაბიამანი. ამჟამად შაბიამანის გამოშვება გადიდებულია და ყოველთვიურად საამქრო უშვებს 15 ტონა შაბიამანს, სულ მომდინარე წლის განმავლობაში საამქრომ უნდა მოგვცეს 100 ტონა შაბიამანი.

შაბიამანის ხაწარმოო მოწყობილობები (აბაზანები და სხვ.) დამზადებულია ტფილისში, ისე, რომ მთელი საამქროს მოწყობა ქარხანას დაუჯდა მხოლოდ 17,000 მანეთი, ხოლო მარტო 1934 წელს ეს საამქრო მოგვცემს 600.000 მანეთის მაღალხარისხოვან ე. წ. ინგლისურ შაბიამანს. საამქროს მოწყობას ხელმძღვანელობდა ქიმიკოსი ა. დევდარიანი.

შარშან ტფილისის სპილენძის საკეც ქარხანაში სცადეს შაბიამანის საქარხნო წესით დამზადება. შაბიამანის დამზადებისათვის ერთ-ერთი ძირიც დი ნედლეულია სპილენძი, რომელიც ქარხანას საკმაო რაოდენობით მოეპოვება. შაბიამანს წარმოებისათვის ხელ საყრელ პირობებს ქმნიდა იქვეითე ის გარემოება, რომ შაბიამანის დახამზადებლად საჭირო სპილენძის ნაჯარის დიდ ნაწილს ქარხანა ღებულობდა და ღებულობს სპილენძის გატკეცვის შემდეგ, როგორც ნარჩენებს.

რუსთაველის თეატრის

სეზონის დახურვა

22 იანვარს რუსთაველის თეატრში იხურება სეზონი. გამოსათხოვარ სპექტაკლად დაიდგმება შილერის „ყაჩაღები“, რის შემდეგ თეატრი მთელი შემადგენლობით მიდის დაბა ტაშში (ბორჯომის მახლობლად) აქ ერთი თვის დასვენების შემდეგ დასი შეუდგება მზადებას მომავალი ეზონისათვის.

ტაშში რუსთაველის თეატრისათვის შენდება საზაფხულო სათეატრო შენობა სარეპეტიციო დარბაზით და საცხოვრებელი ბინებით. თეატრს განზრახული აქვს მომავალი ზაფხულისათვის დაბა ტაშში მოაწყოს საკუთარი სასოფლო სამეურნეო კომბინატი.

მუშა მაყურებელთა უკეთ მომსახურების მიზნით, რუსთაველის თეატრის დირექცია მომავალი სეზონიდან აბონემენტების გარეშე უშვებს მუდმივ ბილეთებს 50 პროც. დასხაკლებით ყველა სპექტაკლებზე. მუდმივი ბილეთების წვიგნაკში მოთავსებულ იქნება ცალკეული კუპონები თვითეულ სპექტაკლისათვის. სპექტაკლი გამოტოვებულ შემთხვევებში დასწრების უფლება არ უქმდება. მოკლე ხანში დაიწყება ბილეთების გაყიდვა.

ფართო გზა წყალის სპორტს!

წყლის სასპორტო აუზის მ. ხსნა

წყლის სპორტი ტფილისში სუსტადაა განვითარებული, რაც აიხსნება არა იმ გარემოებით, რომ ფიზკულტურელებს არ ჰქონდეთ მიდრეკილება წყლის სპორტისადმი, არამედ იმით, რომ ტფილისში არ არის საომისო ასპარეზი, ერთადერთი სასპორტო აუზი, რომელზეც ამ ათი წლის წინათ მოაწყეს ვერის პარკში, დღემდე დაკეტილი იყო და ფიზკულტურელებს საშუალება არ ჰქონდათ წყლის სპორტში ჩაბარებოდათ ნორმები შრომისა და თავდაცვისათვის მზადყოფნის შესახებ.



ბაიდარკებზე მცურავთა აღლუმი

18 ივნისს შესდგა ვერის პარკში მოწყობილი სასპორტო აუზის საზეიმო გახსნა. აუზი შეკეთებული და შემოღობილია, მოწყობილია ტანისამოსის გასახდელი კარვები, წყლის საბურებლები (დუში“). გახსნილია საექიმო პუნქტი, სადაც მუდმივ მორიგეობს თითო ექიმი და სხვ. აუზთან მოწყობილი იქნება ავტოეტი ცურვის შემსწავლელი რამდენიმე წრე, რომლთაც ხელმძღვანელებენ სპეციალისტი-ინსტრუქტორები.

ცურვა ბაიდარკებით.

აუზის საზეიმო გახსნის წინ გაიმართა ცურვის მცოდნე ფიზკულტურელებისა და ბაიდარკებზე (ნავებზე) მცურავების აღლუმი, რომლის შემდეგაც დაიწყო ვარჯიშობა წყლის სპორტში. სპორტიერსო გამოდგა ბაიდარკებით გასვლა წყალზე. ბაიდარკების მმართავებმა დამსწრეებს უჩვენეს ნავებით ფიგურული ცურვა.

ინსპექტირების შედეგები

იუსტიციის სახალხო კომისარიატის დაბრკოლებათა კონტროლის და მისი ახალი შეკრების ჩატარების შესახებ

თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახკომსაბჭოს 1934 წ. 14 მაისის დადგენილებისა „დამცველთა კოლეგიის დებულების დამტკიცებისა და სამოქალაქო შეხლა-გების შესახებ“, საქ. უზენაეს სასამართლოსთან არსებული დამცველთა კოლეგია (ქ. კრ. 1931 წ. № 8. მ. 89) დაშლილად ჩაითვალოს ამა წლის 17 ივნისიდან და მისი ახალი შეკრება მოხდეს შემდეგი წესით:

1. იუსტიციის სახალხო კომისარიატთან დაარსდეს საორგანიზაციო კომისია, რომელსაც დაევალოს დაიწყოს მუშაობა ამ წლის 18 ივნისიდან დამცველთა კოლეგიის ახალ წევრთა მიღებისა და კოლექტივების ჩამოყალიბების მიზნით თანახმად დამცველთა კოლეგიის შესახებ მიღებულ ახალი დებულებისა;

2. დამცველთა კოლეგიის წევრთა ახალი შეკრება ჩატარდეს რესპუბლიკის ფარგლებში შეძლების და გვარად ერთდროულად და ისეთი ანგარიშით, რომ დ. კ. რეორგანიზაცია დამთავრებული იქნას საერთოდ არა უგვიანეს ა.-წ. 20 ივლისისა;

3. დ. კ. წევრთა ახალი შეკრების დამთავრებამდე საერთოდ დამცველთა კოლეგიის (კოლექტივებისა და ინდივიდუალურად მოქმედ დ. კოლეგიის წევრების) მუშაობის ხელმძღვანელობა დაეკისროს ოუტ. სახკომთან არსებულ საორგანიზაციო კომისიას.

4. ამჟამად მომქმედ დამცველთა კოლექტივებმა და იქ, სადაც ასეთები არ არსებობენ, ინდივიდუალურად მომუშავე დ. კოლეგიის წევრებმა, სანამ მათ საბუთი ადგილზე ახალი შეკრება დამთავრდებოდეს, განაგრძონ მუშაობა არსებული წესისამებრ.

5. დამცველთა კოლეგიაში შესვლის მსურველმა უნდა მიმართოს 1-ლ მუხლში აღნიშნულ საორგანიზაციო კომისიას (ქ. ტფილისი, პოეტ ბარათაშვილის ქ. № 32) განცხადებით, რომელსაც თან უნდა ერთვოს სახელოვნო საარჩევნო უფლებით სარგებლობაზე. სპეციალური განათლებისა, ან იურიდიულ დარგში მუშაობის ხანგრძლივობის შესახებ (სახმოსა ოუსტიციის ორგანოებში გამომძიებლობაზე) არა დაბალ თანამდებობაზე, სახელმწიფო დაწესებულებაში და საწარმოში იურისკონსულტის თანამდებობაზე და დამცველთა კოლეგიაში დამცველთა კოლეგიის წევრად მუშაობის შესახებ) და მოკლე ავტობიოგრაფიული ცნობები.

6. წინა მუხლში აღნიშნული განცხადება წარდგენილი უნდა იქნას იუსტსახკომთან არსებულ საორგანიზაციო კომისიაში 20 დღის განმავლობაში დღიდან ამის გამოქვეყნებისა, რის შემდეგ ასეთი განცხადება კომისიის მიერ მიღებული და განხილული არ იქნება.

იუსტიციის სახალხო კომისარი:
ქ. გოგებაშვილი

15 ივნისი, 1934 წ.

განმარტება

ჩვენი გაზეთის 17 ივნისის ნომერში (139) მოთავსებული ყოფ. საქ. მწერალთა კავშირში მიღებულ მწერლების სია, სადაც მწერალ **მაკინთე ბარნაბიშ-ძე ხომერიკოს** ფსევდონიმი — **ლისაშვილი** შემთხვევით გამოტოვებულია.

პარტკალენდარი

— საქ. პარტიული კონტროლის კომისიის პარტკოლეგია ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს წინადადებას აძლევს 3 დღის ვადაში გამოცხადდენ ც. კ-ის შენობაში, მეორე სართული, ოთახი № 34, ამხ. ბილიხოძეხონ.

1) დავით კაკაურიძე (სვანეთის რაიონული კომიტეტის ყოფილი უფროსი) ნიკოლოზ ვლადიმერის ძე კაკაბაძე; არტაშეს ოგანეზის ქ. დვიდოვი.

— პარტგანათლების სტალინის სახ. სახლი აცხადებს სტალინის რაიონის ყველა პროპაგანდისტის საყურადღებოდ, რომ 20 ივნისს საღამოს 7 საათზე; პარტგანათლების სახლში შესდგება პროპაგანდისტთა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ „საერთაშორისო ვითარების და კულტეპაროობის შესახებ“ გამოტანილ დადგენილების გამო.

— 20 ივნისს, საღამოს სრულ 7 საათზე ლენინაბადის შენობაში შესდგება ამხ. გასპაროვის („სულეიმანის“) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.

სავალდებულოა პროპაგანდისტების გამოცხადება.

ქრონიკა

იუსტიციის მუშაკთა თათბირი

— 21 ივნისს დილის 10 საათზე (იუსტიციის სახ. კომისარიატის შენობაში სასამართლოს ქ. № 32) შესდგება იუსტიციის მუშაკთა თათბირი, რომელზედაც მოსმენილი იქნება სსრ კავშირის პროკურატურის კოლეგიის მოხსენება საქართველოს სასამართლო — საგამომძიებლო ორგანოთა მუშაობის გამოკვლევის შედეგების შესახებ.

სოცშეთავსებლების და პროკურატურის დამხმარე უჯრედების ბრიგადირების დასწრება აღნიშნულ თათბირზე სავალდებულოა.

— 20 ივნისს საღამოს 8 საათზე ხუროთმოძღვრების კავშირის ბინაზე (რუსთაველის პრ. № 10) შესდგება მოხსენება თემაზე: „სომხეთის არქიტექტურა 10 წლის განმავლობაში“ (გამოფენილ მასალების მიხედვით). მომხსენებელი არქიტექტორი ყირქიშელი და კოჩარი (სომხეთი). კამათში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ადგილობრივი, ისე სომხეთის არქიტექტორები.

„ვეფხვი“

ტფილისის ზოოლოგიურ ბაღში ჩამოვიდა ინდოეთიდან ვეფხვი, რომელიც ბაღის ადმინისტრაციამ ბაღის ერთ-ერთ ბინაში მოათავსა.

ნავთი კასპიის ზღვის ფსკერზე

საბჭოთა კავშირის გეოლოგიის და მინერალოგიის ცენტრალური ინსტიტუტი აკად. არანგელსის მეთაურობით აწყობს სპეციალურ ექსპედიციას კასპიის ზღვაზე ზღვის ფსკერის გეოლოგიური ანაგობის შესასწავლად.

ექსპედიციის მუშაობა, გარდა სხვა ამოცანებისა, დაკავშირებულია კასპიის ზღვის ფსკერის ქანებში ნავთის ბუდობების შესწავლასთან. რომ კასპიის ზღვის ფსკერზე მოიპოვება ნავთის მძლავრი ბუდობები, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს, ექსპედიციამ უნდა შეისწავლოს ფსკერის ქანებში ნავთის ბუდობების წარმოშობის პირობები, რომ ამის საფუძველზე მოგვარდეს ამ ბუდობების სამეწვო ექსპლოატაციის საკითხი.

ინსტიტუტის თარშანდელმა ექსპედიციამ ამ მხრივ ბეტად ძვირფასი შედეგები გამოიღო: გამოირკვა, რომ კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილის სანაპიროებზე თანამედროვე დანალექები არ არის სქელი და ნავთის შემცველი ძირითადი ქანები არ იწყოფება დიდ სიღრმეზე.

ელოვნების ქრონიკა

— საქ. ცკის დადგენილებით ვიქტორ ნინოძეს სათეატრო ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭა რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობის წოდება.

მეცნიერება და ტექნიკა

რენტგენის სხივების გამოყენება ტეხნიკაში

მასალათა ბარისები და მათი თვისებები დამოკიდებულია მათი დამუშავების მეთოდებზე. ბუნია შემთხვევა, როდესაც დამუშავების შემდეგ მიიღება მყარე ხარისხის მასალა. მასალათა შესამოწმებლად სხვადასხვა მეთოდები არსებობენ: მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური და სხვ. ყველა ამ მეთოდებით სარგებლობის დროს გამოსაკვლევი მასალის სინჯი ფუძდება (იხვრიტება, იჭრება, იხსნება), ამასთანავე ეს მეთოდები ვერ გვაძლევენ უშუალო წარმოდგენას შიდა დეფექტების ხასიათისა და ადგილმდებარეობის შესახებ. ამ მხრივ განსაკუთრებული უპირატესობა ეძლევა რენტგენის სხივების საშუალებით მასალის გამოკვლევას. მასალის სინჯის რენტგენის სხივებით გაშუქება საშუალებას გვაძლევს გამოვარკვიოთ არა მარტო დეფექტის ხასიათი, არამედ ამ დეფექტის ადგილმდებარეობაც, ამასთანავე სინჯს არ მოეკის არა ვნება დაზიანება. მასალის შემოწმება რენტგენის სხივების საშუალებით განსაკუთრებით ღირსსაშენია იმ შემთხვევაში, როდესაც გამოსაკვლევი ობიექტი ძვირფასი ხანია. მასალათა შემოწმებისათვის რენტგენის სხივებით. სარგებლობა დამყარებულია შემდეგ პრინციპზე: ცნობილია, რომ სხვადასხვაგვარად შთანთქავენ სხივოსნურ ენერგიას და მაშასადამე რენტგენის სხივებსაც, ამიტომ მაშინ, როდესაც ერთი რომელიმე არე რენტგენის სხივებისათვის განვლადია, ე. ი. სრულებით არ შთაინთქმება (ან ხანგრძლივად შთაინთქება), მეორე არე მისთვის გაუვალია ანუ შთანთქმა ხდება მთლიანად.

გამოსაკვლევ მასალიდან გამოსულ რენტგენის სხივის ინტენსივობაზე მსჯელობენ ფოტოგრაფიულ ფირფიტის ან ფლიურისცირებულ ეკრანის საშუალებით. თუ გამოსაკვლევი მასალა წარმოადგენდა ერთგვაროვან არეს (ე. ი. იყო უდეფექტო) და, მაშასადამე, შთანთქმა ხდებოდა თანაბრად მასალის ყოველ ადგილზე, მაშინ ფოტოგრაფიულ ფირფიტის გაშავება ან ფლიურისცირებულ ეკრანის განათება იქნება თანაბარი. პირიქით, თუ მასალა შეიცავდა ზადს, მაშინ ფირფიტის გაშავება ან ეკრანის განათება იქნება არათანაბარი.

მასალაში შიდა დეფექტების ან ფარული ნაკლოვანების გამოსაკვლევად რენტგენის სხივები ერთად-ერთ საშუალებას წარმოადგენს.

რენტგენის სხივებით შემოწმებას აწარმოებენ ყველა დამზადებულ საგანზე კარგა, არამედ უფრო მნიშვნელოვან საგნებზე: მაღალი წნევის ორთქლგამტარი მილები, საფრენ მანქანის დეტალები, მაღალ ძაბვიან ფაიფურის იზოლიატორები, ისეთი ნახევარ ფაბრიკატები, რომლისგანაც კეთდება მაღალი ღირებულების და საპასუხისმგებლო ნაწილები. უკანასკნელ წლებში რენტგენის სხივების საშუალებით შემოწმებას უფრო ფართო გამოყენება აქვს. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ სპეციალური ტექნიკური მიზნებისათვის რენტგენის აპარატებს აკეთებენ ჩვენში (მოსკოვი, ლენინგრადი, კიევი). სწორედ უკანასკნელთ აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენში თითქმის ყველა მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ქარხნებში რენტგენტექნიკური ცეხები არის. დოც. დ. ერისთავი

ნავთი კასპიის ზღვის ფსკერზე

საბჭოთა კავშირის გეოლოგიის და მინერალოგიის ცენტრალური ინსტიტუტი აკად. არანგელსის მეთაურობით აწყობს სპეციალურ ექსპედიციას კასპიის ზღვაზე ზღვის ფსკერის გეოლოგიური ანაგობის შესასწავლად.

ექსპედიციის მუშაობა, გარდა სხვა ამოცანებისა, დაკავშირებულია კასპიის ზღვის ფსკერის ქანებში ნავთის ბუდობების შესწავლასთან. რომ კასპიის ზღვის ფსკერზე მოიპოვება ნავთის მძლავრი ბუდობები, ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს, ექსპედიციამ უნდა შეისწავლოს ფსკერის ქანებში ნავთის ბუდობების წარმოშობის პირობები, რომ ამის საფუძველზე მოგვარდეს ამ ბუდობების სამეწვო ექსპლოატაციის საკითხი.

ინსტიტუტის თარშანდელმა ექსპედიციამ ამ მხრივ ბეტად ძვირფასი შედეგები გამოიღო: გამოირკვა, რომ კასპიის ზღვის სამხრეთ ნაწილის სანაპიროებზე თანამედროვე დანალექები არ არის სქელი და ნავთის შემცველი ძირითადი ქანები არ იწყოფება დიდ სიღრმეზე.

რუსთაველის თეატრი

ამ დღეს 16 ან. 10 წარ. „რვევა“

21 იანვარს 14 ან. 10 წარ. „რვევა“

სეზონის დახურვა 22 ივნისს ამო. ემ. გარე შე „In tirannos“

სალარო ღიაა 11—2 ს. 6—9 საათამდე. დასაწყისი 8 საათზე

რუსთაველის თეატრი

სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით სეზ. 1933-34 წ.

22 ივნისი სეზონის დახურვა

ამო. ემ. გარე შე

INTIRANNOS

ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში სალარო ღიაა 11—2 6—9 ს

2—1 დასაწყისი 8 საათზე. 6. 276

იძ. ტ. ბ. ოლი „ანენკოვშჩინა“ პრო. გარ. ს. კ. უ. № 11

დამკვრელი საზაფხ. -15 ი.

იხატვრული სათავგადასავალ ო ფილ ი „ღამურები“

ოპერისორი ი. პერეტიანი. ო ერატორი ა. დიტმელოვი. ით როლებში: ვარია და ალ. შირაები.

მთავარი საზაფხ. ა-15 ი

„მ ო ც ე კ ვ ი“ კომედია გარ ლდ ლიდია ძო აწი ეობით

სერ. ტ ძაკი (საზამთ.) 11 ერ (საზაფხ.)

ახალი ეპატ ვური კომედია „მ ი უ ვ ა რ ხ ა რ“ ხამთრისაში 7 ს. საზაბჭოლოში 9 საათზე

ბავშ-ის სახ. ქ ვის. ა-15. 10.

მხატვრული სურათი „მეფის მეზღაურები“

რ. ლიუბლინსკაიშჩინის საბჭოლტების

მხატ. ბ ოვანი სურათი „ხუსხიანი დღეები“

ბროდარ. გარ. საბჭ. წეროვნ. № 10 ს. კ. ყ.

„კომინტერნი“ საზაფხ. დიდუბე ი. 11

„გ ი უ ლ ი“ ეატ ვ ჩხაძის მონაწილეობით

ექიმი ს. ა. დიმელი

დაამთავრა პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტები

საბის სილავაზის ა მ ო ვ ა

რადიკალურ და სპორის ა ბის ყ ველგვ დეფიქტ ბს. ნაოჭებს, თაქებს უწოკებს, სიწითლეს, ორების გაფართოება ეკზემას. ქერკლას ბის გ ცვეას ქერტლს და ა.შ. მაღ ძის ქ. № 10—6 22 .6

მომავალ გამოცდ ვასწორება ჩვენ - ჩვეილ მოწაფეებს

მ ათემატიკასა და რუ ულში ვასწავლი უცოდინა რებს

არითმეტიკასა და გეომეტრიას მოსწავლეებისა თანამდებობისათვის

პლეხანოვის ქ. 25 შე ს ვლი ჩერიშევის ქ. 5) ნახვა 8—12 ს. 7—8 ს.

5—1 ქვ. 3432

ტფილისის სამხატვრო აკადემიაში

შესასვლელთა (ათა ადრე მომ ადებია ა ზ თ აკადემიის შენობაში (გორგოდვილი ქ. № 22) 15 ივნისიდან ა ბ ება

ხ ა ტ ვ ა შ ი

მოსა ზადებელ კურსზე

ტფილისამხატვრო აკად მიის

1—1 ქვ 3625 დირექცია.

ქ. ტფილის ა. ჭ. ი. ვ. ი. ლ. ი

ლავრენტი ცუცქირიძის

სხვა და სხვა

7 წლედის დამთავრების მოწმობა ლევან ჩიგოგიძის. ალკ ჭიგნაკი 6865638, ავტოსატრანსპორტო ტეხნიკუმის დამთავრების დიპლომი ერანოს ერემია ის. წითელ პარტიზანთა ფიგნაკი * 255, ტრამვაის უფასო ბილეთი 179 კლომეტი ბოკერიასი. შრომის სია ვახტანგ ივანეს-ძე ბალიაშვილის. 7 წლ. დამთ. მოწმობა № 5 მადლენა მანჯგალაძის. ატესტატი № 269 ხარბანიდი პარესა ელადიმერის -ასულის. საკ. ალკ ა ფ. მანდათი № 6.10691 და 7 წლედის დამთ. მოწმობა № 54 აგრაფინა რომაქიძის.

კავშირის წიგნაკები

ერანოს ერემიანის. კლიმენტი ბოკერიასი.

გულმოკლული დედა მიხა, დები: მაშიკო, მარგალიტა, ძმები: შალვა, გრიგოლ, რაული ვერა, ძმისშვილი ირორკა. იუწყებიან, რომ 24 ივნისს. აკეთში დანიშნულია ძვირფას

მარიამ ბაუნაიშვილის

სამოკალაქო პანაშვიდი

ნიხა და სოსო მასხულიები შვილებით მწუხარებით იუწყებიან, რომ ძმიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი პატარა

ლიანა შალიკოს-ას. ხუჭუა

თავზარდაცემული ცოლი ნინა, შვილები: ჟორეი, ია, კუკური, თამარა, ზინა, სიდედრი კატო ჯავახია, სიძეები: ჭიპიკო, ვახტანგი იუწყებიან

ნოე კახიანის

გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს.

შვილი თამარი, სიძე ვახტანგი შშობლებით: კოზმა, დარიკო, ძმით პიმენი კახეთელიძეები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ

ნოე კახიანის

გარდაცვალების გამო. გამოსვენება დღეს 5 ს. ტატაპის ქ. № 22, ფელაბრის სასაფლაოზე

დაბეჭურებული და ელისაბედი, სიძე მელიტონი, თამარა, ვერა, შალიკო ბაქრაძეები, ბიძა დათა კახიანი შვილებით: კოლია, პაშა, ეთერი, რაქვიათ პაშა სიძეები იუწყებიან

ნოე კახიანის

გარდაცვალებას.

დაბეჭურებულნი: სიდედრი კატო ჯავახია, ქალიშვილი ზინა, სიძე ჭიპიკო გეგაჯავა ღრმის მწუხარებას გამოსთქვამენ სიძის და მამის

ნოე მანუჩარის-ძე კახიანის

ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაცვალებაზე.

დაბეჭურებული მშობლები შალვა, ნინო. ბაბუა ივგო, ბებია სონა, ბიძა გიორგი, ბიცოლა ელენე ბერიძეები მამიდები იუწყებიან პატარა

ვალიკო ბერიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება არდაგანის შეს. № 1 20 ივნისს 5. ს.

დაბეჭურებული მეფლე გრიგოლ მორთულაძე, შვილებით: ირაკლი, საშიკო, ვახტანგი; სიძე ა. ჯორბენაძე; რძალი თამარა და შვილიშვილები იუწყებიან

ანა ვასილის-ას. მორთულაძის

გარდაცვალებას, დაკრძალვა 20 ივნისს 6. ს. ავლაბრის სასაფლაოზე

გაუბედურებული მშობლები: შალვა, ნუცა, ხუჭუები, დაი ადა, ბებია პატი, მამიდა მარუსია იუწყებიან საყვარელ

ლიანას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21 ივნისს ო ხურის გზაზე.

ადო, ქრისტინა, ასლან კვიტაშვილები შვილებით — მარუსია, თამარა, თინა, შოთა ოჯახობით, გუგუცა; ზინა მწუხარებით იუწყებიან ძვირფას ბიცოლა

ქეთევან კვიტაშვილის

გარდაცვალებას.

დაბეჭურებულნი ძმა პაოლო, რძალი ეკატერინა, ძმისშვილი კოკონა ეიუწყებიან ნათესავებს, ნაცნობ - მეგობრებს, რომ 15 ივნისს სოფ. ჩხარში გარდაიცვალა ჩვენთვის საყვარელი

გიორგი ვარლამის-ძე ამირანაშვილი

გამოცემლობა „ტექნიკა და შრომა“-ს და გაზეთ „მუშა“-ს გაეწიათ ურთიერთობული ადგილკომი მუშა - მოსამსახურეებისან ერთად იუწყებიან საამქროს გამგის ამხ. შ. ბერიძის შვილის

პატარა ვალიკო ბერიძის

გარდაცვალებას.

სესხზე ხელის მოწერთა საყურადღებოთ

„მეორე ხუთწლედის სესხის“ (პირველი წლის გამოშვება) მოგებათა პირველი გათამაშება შესდგება ქ სვერდლოვსკის ა/წ 20 ივნისს.

სახკრედიტის და საშენახლო საქმისადმი დამხმარე კოოპერაციის წევრებმა უნდა უზრუნველყონ თვითონ კოლექტივებში ამ სესხის ობლიგაციების ყველა ხელის მოწერილის დაუყოვნებლივ დარიგება.

თვითეული სე ზეე ხელის მოწერი მოვალეა მოთხოვოს წარმოება-დაწესებულებს ბის ადმინისტრაციას ან სოფლ ბჭოს. კუპონიანი ობლიგაციები ი რაოდენობით, რა თანხაც მის მიერ არის გადახდილი.

რაიმე მიზეზით (ავადმყოფობა, ძივითება და სხვ.) დაურიგებ ლი ობლიგაციები ოლექტივის საანგარიშო ანარაში უნდა ჩაბარდ შე ანახად შემ ახველ სალარ ს ხელის მოწერილები სიასთან (ორ ცალად) ერთად

სოფლის საბჭოებთან არსებულ დამხმარე კომისიებს ევალებათ შეამოწმონ

კოლმეურნეთა შორის ობლ გაციები დარიგება და დაამთავრონ ობლიგაციების დარიგება ა. წ. 18 ივნისამდე.

არაორ